საქართველო

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი

საკრებულო



GEORGIA

RUSTAVI CITY MUNICIPALITY

COUNCIL

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი:	გიგა კიკვაძე
საანგარიშო პერიოდი:	30.10.2025 – 20.10.2026 წ.წ.
თანამდებობა:	1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს წევრი; 2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე.
კომისი(ებ)ის დასახელება:	1. საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე
ფრაქციის დასახელება	1. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი.
საბჭოს დასახელება:	1. ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურის საბჭოს წევრი

❖ **საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:**

საკრებულოს სხდომის რაოდენობა: - 15 სხდომა

საკრებულოს სხდომაზე დასწრება: - 15 სხდომა.

საკრებულოს ბიუროს სხდომის რაოდენობა - 13 სხდომა

საკრებულოს ბიუროს სხდომაზე დასწრება - 13 სხდომა.

❖ **საკრებულოს სხდომებზე მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობა:**

დადგენილება - 83

განკარგულება - 97

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ფრაქციებისა და საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა:**

ა) კომისიები:

➢ საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია;

ჩატარდა: - 11 სხდომა; დასწრება: -11 სხდომა

ბ) ფრაქცია „ქართული ოცნება“

ჩატარდა: - 3 სხდომა; დასწრება: - 3 სხდომა

გ) ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭო

ჩატარდა: - 2 სხდომა; დასწრება: - 1 სხდომა

❖ **მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საანგარიშო პერიოდში (30.10.2025 – 20.10.2026) ჩაატარა ბიუროს 13 და საკრებულოს 15 სხდომა, რომლებზეც მიღებულ იქნა 83 დადგენილება და 97 განკარგულება.

მხარდაჭერილი საკითხები:

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან (მერიასთან) მჭიდრო თანამშრომლობით, ჩემი მხრიდან მხარდაჭერილ იქნა მუნიციპალიტეტისა და ადგილობრივი მოსახლეობისათვის პრიორიტეტული ყველა მნიშვნელოვანი საკითხის დადებითად გადაწყვეტა და დამტკიცება, მათ შორის წესების დადგენისა და ნორმატიული რეგულირების მიმართულებით:

საფინანსო-საბიუჯეტო სფერო:

- **მუნიციპალური ბიუჯეტის დამტკიცება:** ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილების მხარდაჭერა.
- **საბიუჯეტო ცვლილებები (2026 წელი):** „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 25 ნოემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე სამართლებრივი აქტების განხილვა და დამტკიცება (საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტში განხორციელდა 3 ძირითადი ცვლილება).
- **საბიუჯეტო კორექტირება (2025 წელი):** „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 20 დეკემბრის №174 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე გადაწყვეტილებათა მხარდაჭერა.
- **შესრულების კონტროლი და ანგარიშვალდებულება:** ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცება და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 6 თვის საქმიანობის ანგარიშის განხილვა/ანალიზი.

ინფრასტრუქტურა, სივრცითი მოწყობა და ურბანული განვითარება:

- **მუნიციპალური პროექტების მხარდაჭერა:** ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონებისა და მხარდაჭერის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება.
- **ურბანული რეგულირება (კ-2 კოეფიციენტი):** „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით“ გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების შემთხვევაში მაკომპენსირებელი ღონისძიებების განსაზღვრის წესის დამტკიცება, რაც მიზნად ისახავს ქალაქის სამართლებრივ, უსაფრთხო და გეგმაზომიერ ურბანულ განვითარებას.
- **განაშენიანების დეტალური გეგმარება:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების (უმრავი ქონების) განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციების განხილვა და დამტკიცება.
- **ურბანული გეგმების დამტკიცება:** ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კონკრეტული მიწის ნაკვეთების განაშენიანების დეტალური გეგმების (გდგ) საბოლოო სამართლებრივი უზრუნველყოფა და დამტკიცება.
- **გეოგრაფიული ობიექტების სახელდება:** ქალაქ რუსთავის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება.

ჩამოთვლილი საკითხების გარდა, აქტიურად ვუჭერდი მხარს თითოეულ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც მოსახლეობის პრობლემების დროულ მოგვარებასა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად.

ოფიციალური შეხვედრები:

- **ოფიციალური ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ინეგოლში:** როგორც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, მონაწილეობა მივიღე სამუშაო ვიზიტში, რომელიც კულტურისა და ხელოვნების რიგით 39-ე საერთაშორისო ფესტივალს უკავშირდებოდა. აღნიშნული ყოველწლიური მასშტაბური ღონისძიება მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს, რომელიც ხელოვნების მეშვეობით აძლიერებს კულტურულ დიპლომატიას და ხელს უწყობს დამეგობრებულ ქალაქებს შორის მჭიდრო, პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებას.

❖ **საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:**

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, უფლებამოსილება და საქმიანობა საანგარიშო პერიოდში წარიმართებოდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2014 წლის 4 აგვისტოს №1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტისა და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საქმიანობა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიაში

როგორც საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, საანგარიშო პერიოდში ორგანიზება გავუკეთე და ვუხელმძღვანელე კომისიის 11 სამუშაო სხდომას.

ინფრასტრუქტურის განვითარება და მუნიციპალური ტრანსპორტი

რუსთავის ახალი განვითარება აქტიურ რეჟიმში გრძელდება. ქალაქის მასშტაბით ჩატარდა და მიმდინარეობს მასშტაბური სამუშაოები:

- **ურბანული და ინფრასტრუქტურული პროექტები:** კომისიის სხდომების ფარგლებში მიმდინარეობდა მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სივრცითი მოწყობის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმების, საგზაო ინფრასტრუქტურისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი პროექტების წინასწარი განხილვა და სამართლებრივი გამართვა.
- **ისტორიული უბნების რესტავრაცია:** ქალაქის იდენტობის შენარჩუნების ფარგლებში გრძელდება რუსთაველის ქუჩის რეაბილიტაცია, ხოლო თბილისის ქუჩაზე მიმდინარეობს ავარიული საცხოვრებელი შენობების აღდგენა.
- **საგზაო და კომუნალური ქსელები:** აქტიურად მიმდინარეობს გზების, სკვერების, ქუჩების გასასვლელების რეაბილიტაცია და ტროტუარების მოწესრიგება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციასა და სანიაღვრე არხების მოწყობას.
- **ტრანსპორტის განახლება** (მარშრუტი N25): მოსახლეობის მრავალწლიანი მოთხოვნის საპასუხოდ, საკრებულომ დაამტკიცა მუნიციპალური ავტობუსის ახალი მარშრუტი თბილისის მიმართულებით, რომელიც 1 სექტემბრიდან ამოქმედდა. N25 ავტობუსი გმირთა მოედნიდან იწყებს მოძრაობას და კახეთის გზატკეცილის გავლით აკავშირებს რუსთავს აუთლეტ ვილიჯთან, გაფორმების ეკონომიკურ ზონასთან, ისთ ფოინთსა და მეტროსადგურ „სამგორთან“.

• **კოორდინაცია აღმასრულებელ ორგანოსთან:** მჭიდროდ ვთანამშრომლობდი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან და მერიის ინფრასტრუქტურის, მშენებლობისა და ურბანული განვითარების სამსახურებთან. რეგულარულად ვაყენებდი მოქალაქეების მიერ წამოჭრილ პრობლემურ საკითხებს მერიის შესაბამისი უწყებების, კომისიისა და ფრაქციის წინაშე, რამაც უზრუნველყო დასმული ამოცანების ოპერატიულად და დადებითად გადაჭრა.

• **მონიტორინგი სამუშაოების მიმდინარეობაზე:** საანგარიშო წლის განმავლობაში, ადგილობრივ მაცხოვრებლებთან ერთად, პირადად და რეგულარულად ვახორციელებდი მონიტორინგს მიმდინარე დიდ თუ მცირე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე, რათა მაქსიმალურად ყოფილიყო გათვალისწინებული მოსახლეობის უსაფრთხოება და მოთხოვნები.

ფრაქციული საქმიანობა და მონაწილეობა ბიუჯეტის ფორმირებაში:

ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებთან ერთად, აქტიურად ვიყავი ჩართული 2027 წლის მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირების მოსამზადებელ ეტაპზე.

• **მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა:** ბიუჯეტირების პროცესის ფარგლებში, ოლქში ვაწარმოებდით მოქალაქეთა აქტიურ გამოკითხვას მიზნობრივი საჭიროებების შესწავლისა და უბნის განვითარების პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით.

კვლევისა და მოსახლეობისგან მიღებული წინადადებების ანალიზის საფუძველზე, მოვამზადე სპეციალური ინიციატივა, რომელიც ფრაქციის სახელით ოფიციალურად გადაეგზავნა ქალაქ რუსთავის მერს ბიუჯეტის საბოლოო პროექტში ასახვის მიზნით.

საქმიანობა ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალურ საბჭოში:

როგორც საბჭოს აქტიური წევრი, ჩართული ვიყავი სოციალური, კულტურული და ჯანდაცვის მიმართულებით კამპანიებისა და ღონისძიებების დაგეგმვასა და მართვაში:

• **ადგილობრივ ხატმწერთა გამოფენა:** საბჭოს ინიციატივითა და ორგანიზებით, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მოეწყო ადგილობრივ ხატმწერთა ნამუშევრების გამოფენა. ღონისძიებამ ხელი შეუწყო საეკლესიო ხელოვნების წარმოჩენას, ეროვნულ-სულიერი ღირებულებების პოპულარიზაციას და იმ ავტორთა შემოქმედების დაფასებას, რომელთაც განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებაში.

• **„ვარდისფერი ოქტომბრის“ საერთაშორისო კამპანია:** ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო თვესთან დაკავშირებით, საბჭომ განახორციელა მასშტაბური ჯანდაცვითი აქტივობა. კამპანიის ფარგლებში, რუსთავში მცხოვრებ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს ჩაუტარდათ სრულიად უფასო სკრინინგული და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო გამოკვლევები, რაც დაავადების ადრეულ პრევენციასა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას ისახავდა მიზნად.

მაჟორიტარული საქმიანობა და საუბნო პროექტები:

როგორც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერვე მოწვევის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი **(გიორგი ჭყონდიდელის სახელობის საარჩევნო ოლქი)**, ჩემი საქმიანობის უმთავრეს პრიორიტეტად მივიჩნევ ღია, უშუალო და უწყვეტ კომუნიკაციას ჩემი ოლქის მოსახლეობასთან.

ქალაქ რუსთავის მერის წარმომადგენლებთან და მუნიციპალური სამსახურების თანამშრომლებთან მჭიდრო კოორდინაციით, საანგარიშო პერიოდში ოლქის ტერიტორიაზე წარმატებით განხორციელდა და ამჟამადაც აქტიურ ფაზაშია მოსახლეობისთვის სტრატეგიული ინფრასტრუქტურული პროექტები:

• **საგზაო ინფრასტრუქტურა და შიდა ეზოების კეთილმოწყობა:** უბნის მასშტაბით განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის სრული მოდერნიზება. კერძოდ, გრანელის, გიორგაძისა და ჯავახიშვილის ქუჩებზე ჩატარდა 11 შიდა ეზოსა და შიდაკვარტალური გზის კომპლექსური რეაბილიტაცია. პროექტების ფარგლებში საფუძვლიანად განახლდა მიწისქვეშა კომუნალური ქსელები, მოეწყო ბეტონის ბორდიურები, საფეხმავლო ბილიკები და დაიგო ასფალტის ახალი საფარი, რამაც ათეულობით კორპუსის მაცხოვრებელს წესრიგში მოყვანილი საყოფაცხოვრებო გარემო შეუქმნა.

• **რეკრეაციული და სპორტული სივრცეების განვითარება:** „მწვანე ქალაქის“ კონცეფციის ფარგლებში, ჭყონდიდელის დასახლებაში, კერძოდ რჩეულიშვილის ქუჩის მიმდებარედ, მოეწყო და ფუნქციონირებს ახალი, თანამედროვე სტანდარტების მულტიფუნქციური საზოგადოებრივი პარკი. სივრცე აღიჭურვა საბავშვო-სათამაშო ატრაქციონებით, დასასვენებელი ზონებით, გარე განათების, საფეხმავლო და ველობილიკებით, სარწყავი სისტემითა და სკეიტ-პარკით, სადაც ასევე დაირგო ასობით ხე-მცენარე, რაც ხელს უწყობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

მოქალაქეებთან კომუნიკაცია:

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, საანგარიშო წლის განმავლობაში აქტიურად ვიყენებდი ციფრულ პლატფორმებს მოსახლეობასთან ოპერატიული კავშირის მისაღწევად:

პერიოდულად ვავრცელებდი დეტალურ ინფორმაციას სამაჟორიტარო ოლქსა და მთლიანად ქალაქში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სოციალურ პროექტებზე.

• **მოქალაქეთა მიღება და მიმოწერა:** მუდმივი და უწყვეტი მიმოწერა მქონდა მოქალაქეებთან სოციალური ქსელების მეშვეობით. ეს პლატფორმა ეფექტიანად გამოვიყენეთ იმისთვის, რომ დისტანციურად, ბიუროკრატიული ბარიერების გარეშე მიგვეღო ინფორმაცია ლოკალური დაზიანებების, კომუნალური ხარვეზების თუ მოქალაქეთა სოციალური საჭიროებების შესახებ, რასაც ყოველთვის მოსდევდა კომისიისა და მერიის შესაბამისი სამსახურების მხრიდან მყისიერი რეაგირება.

დასასრულს, მსურს განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ჩემი სამაჟორიტარო ოლქის მოსახლეობის მიმართ - მათი აქტიურობა, ნდობა და თითოეული გულწრფელი რეკომენდაცია არის ის მთავარი მამოძრავებელი ძალა, რაც გვეხმარება ჩვენი ქალაქისა და უბნების უკეთესი მომავლის შენებაში.

თარიღი: 20.10.2026 წ.

ხელმოწერა: **გიგა კიკვაძე**

